



# საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განვარგულება

№ 291

ქალაქი ქუთაისი

29

მაისი

2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,  
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,  
მოქალაქეების: იკობ გელხვიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის სარგებლობაში  
გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის  
მიცემის შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი  
პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის  
უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის  
საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014  
წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა  
და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის  
საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ  
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 მაისის № 44-4424142570 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით,  
პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: იკობ გელხვიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით  
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და  
შეზღუდული პასუხისმგებლის სახელგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს  
გაფორმებული სახელმწიფო ქადაგის შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული  
პასუხისმგებლის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი,  
№08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კუ. ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქეების: იკობ გელხვიძისა და გიორგი ჩიხლაძის მიერ მისამართის სარგებლობაში  
გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნება კიბის უჯრედების მოსაწყობად.



**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და ფაზიონულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქაღაჭო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის  
№ 291 განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ოჯახის ფორმით,  
მოქალაქეების: იავაჩ გელებვიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის სარგებლობაში  
გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების ჩამონათვალი

N	მიზანის მიზანი	პირის მიზანი	ქარისხის დასახელი	საკადასტრო კოდი	წლის წლილი	სივრცის ქარი (ლარი)	ლანგოლიაშვილის დასახელი	
1.	მოქალაქე იავაჩ გელებვიძე	60001005457	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირის №127 და №129 ბინების ჩრდილოეთი	ტროტუარი	3.00 კ.მ.	03.04.22.814	300	კაბის უარდებს განთავსებისათვის
2.	მოქალაქე გიორგი ჩიხლაძე	55001028751	ქალაქი ქუთაისი, ილაშვილის ქავერის გამზირის №47-ის ჩრდილოეთი	ტროტუარი	4.10 კ.მ.	03.04.30.348	410	კაბის უარდებს განთავსებისათვის



ირკვლი შენგელია

საკრებულოს თავმჯდომარე